ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 14

16 მარტი 2018 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო -საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე, ირაკლი ნადირაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო მათ დღის წესრიგი.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01180733472 (14.03.2018) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

გაიოზ თალაკვაძემ დაწვრილებით განმარტა რაიონული გამგეობების და საქალაქო სამახურების მიერ წარმოდგენილი წერილებით მოთხოვნილ კვარტალურ ცვლილებებზე. მან აღნიშნა, რომ ვაკის რაიონის გამგეობას უფასო სასადილოებით მომსახურების პროგრამაში I კვარტალში გადმოაქვს 2500 ლარი IV კვარტლიდან . მათი წერილობითი განმარტებით, 28-29 დეკემბერს ხაზინის გამო შეფერხდა მომსახურების ღირებულების გადახდა და გადახდა მოხდა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში; გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებების პროგრამაში გადმოაქვს 1 400 ლარი IV კვარტლიდან . გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ

შემოვიდა მოქალაქეთა ჭარბი განცხადებები. დაბალანსება ხდება სხვა სოციალური დახმარებების პროგრამით.

გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში პირველ კვარტალში ემატება 150 000 ლარი, ფაქტიურად უკვე შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად. დაბალანსება ხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამით- 150 000 ლარი გადააქვთ შემდეგ კვარტალში.

კეთილმოწყობის სამსახურს ბინათმშენებლობის და ავარიული შნობების გამაგრების პროგრამის წლიურ გეგმიდან 100 000 ლარი გადადის გარე განათების პროგრამაში ,სამსახურის ახსნით დედაქალაქში ქვეითთა გადასასვლელებზე უნდა მოწყოს განათებები , რისთვისაც სამსახურს ამ პროგრამაში სჭირდება 100 000 ლარის დამატება.

გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში 1 000 000 ლარი გადმოაქვს II კვარტლიდან - I კვარტალში, რაც განპირობებულია ქალაქის მასშტაბით არსებულ გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოებისათვის.

საინჟინრო ნაგებობის და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის პროგრამაში

1 000 000 ლარი გადმოაქვს მე-II კვარტლიდან I კვარტალში - კარტოზია-ცინცაძის გადაკვეთაზე კვანძის მოწყობის სამუშაოების დასაწყებად.

ამ ცვლილებების დაბალანსება ხდება დასუფთავების ღონისძიებებით - 1 540 000 ლარი გადადის პირველიდან მეორეში და გამწვანების ღონისძიებებში- 460 000 ლარი გადადის პირველიდან მეორეში. შპს „ეკოსერვის ჯგუფი „ შეიქმნა თებერვალში, გამომდინარე აქედან სამუშაოების განხორციელება გადაიწევს მეორე კვარტალში- აღნიშნა გაიოზ თალაკვაძემ.

ისნის რაიონში- გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში I კვარტალში ემატება 240 000 ლარი მე-II და მე- III კვარტლების 50-50 ათასი ლარით შემცირებით. დაბალანსება ხდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამით - 130 934 ლარი გადადის მე-III კვარტლაში და უფასო სასადილოების პროგრამით- 187 482 კარი გადადის მეორე და მესამე კვარტალში

გლდანის რაიონში გზების მოვლა-შეკეთების პროგრამაში პირველ კვარტალს ემატება 211 100 მომდევნო კვარტლებიდან. დაბალანსება ხდება- დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციებიდან- 17 800 გადადის მეოთხე კვარტალში და „სხვა სოციალური დახმარებების პროგრამით"- 160 000 ლარი გადადის მეორე და მეოთხე კვარტლაში

გამგეობის აპარატში- 30 000 ლარი გადადის მეორე და მეოთხე კვარტალში

კრწანისის რაიონში- კულტურულ,სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამაში პირველ კვარტალში ემატება 9 135 ლარი.

„მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობის პროგრამაში" პირველი კვარტლის გეგმას ემატება 3 000 ლარი (წიგნების შესაძენად) დაბალანსება ხდება პროგრამით- „შემოქმედებითი თბილისი"

ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაში - ხდება მუხლობრივი ცვლილება- 30 000 ლარი ემატება საქონელი და მომსახურების მუხლს.(

სარეზერვო ფონდი - პირველი კვარტალი იზრდება 100 000 ლარით მესამე და მეოთხე კვარტლების ხარჯზე

საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიება- იზრდება 35 540 ლარით (შარშან შესრულებული აუდიტის მომსახურების ღირებულების დასაფარად)

„სარეზერვო ფონდისა" და „საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებების" კვარტალური ცვლილების დაბალანსება ხდება- „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების" პროგრამით.

წარმოდგენილ კვარტალურ ცვლილებებთან დაკავშირებით კონკრეტული შეკითხვები კომისიის წევრებს არ ქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ", სადაც მოსახლეობის სოციალური დახმარებისა და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებალდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდისათვის (კოდი 10 22) გათვალისწინებული ასიგნებების პირველი კვარტლის გეგმა იზრდება 100,0 ათასი ლარით და შესაბამისად მცირდება მესამე და მეოთხე კვარტალი 50 -50 ათასი ლარით, სადაც ასევე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი საქალაქო სამსახური, რაიონის გამგეობები და ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი ითხოვს თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში მათზე მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალურ გადანაწილებებს, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ"ქვეპუნქტისა და მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.**

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა